



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

IV საერთაშორისო კონფერენცია
“ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-2014”

(საქართველო, თბილისი, 2-5 ოქტომბერი, 2014 წ.)

საინფორმაციო წერილი, N1

პატივცემულო კოლეგებო,

საორგანიზაციო კომიტეტს აქვს პატივი გაცნობოთ, რომ 2014 წლის 2–5 ოქტომბერს ქ. თბილისში (საქართველო) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ატარებს IV საერთაშორისო კონფერენციას “ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები-2014”.

კონფერენციის თემაა: “ვერბალური კომუნიკაციები სივრცესა და დროში”

კონფერენციის სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული

კონფერენციის მუშაობა ივარაუდება შემდეგი მიმართულებებით:

1. ვერბალური კომუნიკაციების თეორია და პრაქტიკა;
2. კომუნიკაციური ლინგვისტიკა;
3. ჰუმანიტარული მეცნიერებები და ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები;
4. ლიტერატურათმცოდნეობა: კომუნიკაციური მოდელები მხატვრული ტექსტის სივრცეში;
5. ვერბალური კომუნიკაცია და საინფორმაციო სისტემები;
6. კომუნიკაციური ტექნოლოგიები საინჟინრო და ტექნიკურ სფეროებში;
7. უცხო ენები XXI საუკუნის დასაწყისის კულტურათმშობის კომუნიკაციებში;
8. კომუნიკაციური ტექნოლოგიები სამართალმცოდნეობასა და სოცი-ალურ დისციპლინებში;

9. უცხო ენები და ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები: სიახლე სწავლების მეთოდოლოგიაში;
10. თარგმანი, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის საშუალება;
11. კომუნიკაციური ტექნოლოგიები ჟურნალისტიკაში;
12. კომუნიკაციური ტექნოლოგიები პოლიტიკაში;
13. კომუნიკაციური ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.

კონფერენციაზე ივარაუდება მუშაობის შემდეგი ფორმები:

- დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეობა;
- დისკუსიებში მონაწილეობა.

სექციური სხდომები: სექციური მუშაობის პროცესში მაქსიმალური დრო დაეთმობა არა მოხსენებათა წაკითხვას, არამედ მათს განხილვას და მეცნიერული ღირებულების შეფასებას.

საორგანიზაციო კომიტეტი წინასწარ გამოაქვეყნებს კონფერენციაზე წარმოდგენილ ყველა იმ მოხსენებას, რომლებიც გაივლიან ექსპერტიზას. მოხსენებათა კრებულის ელექტრონული ვერსია, კონფერენციის მონაწილეებს დაეგზავნება წინასწარ, ხოლო სტამბური ვარიანტი შეეთავაზებათ კონფერენციის მუშაობის დაწყების წინ.

რეგლამენტი: პლენარულ სხდომაზე მოხსენებისათვის 30 წუთი;
სექციურ სხდომებზე გამოსვლისათვის _ 10 წუთი;
დისკუსიისათვის _ 5 წუთამდე.

განაცხადები მონაწილეობის შესახებ და მოხსენებათა ტექსტები მიიღება **2014 წლის 30 ივნისამდე**.

კონფერენციაზე დაშვების გადაწყვეტილება განმცხადებლებს ეცნობებათ დამატებით.

მოხსენებათა ტექსტების გაფორმებისათვის წაყენებული მოთხოვნები:

მოხსენების ტექსტი საორგანიზაციო კომიტეტს წარედგინება ელექტრონული ფოსტით, შემდეგ მისამართზე: **Boris151132 @ rambler.ru** ელექტრონული წერილის დამატების სახით **Microsoft Word** ფორმატში ქართულ ენაზე, არა უგვიანეს 2014 წლის 30 ივნისისა.

მოხსენების მოცულობა არა უმეტეს 5 გვერდისა.

შრიფტი (Font) _ **Akad Nusx 12** (ქართული ენისთვის) _ **Tims New Roman, 12** (ინგლისური და რუსული ენებისათვის). თუ ისეთი ნიშნები გჭირდებათ, რომლებიც არ მოეპოვება შემოთავაზებულ შრიფტებს, გამოიყენეთ სტანდარტული შრიფტები (**Symbol**). ორიგინალური შრიფტების გა-მოყენების შემთხვევაში მათი ფაილები (***.ttf ფორმატი _ True Type Font**) აუცილებლად უნდა გამოიგზავნოს მოხსენებასთან ერთად ელექტრონული წერილის დამატება.

ტექსტური ხაზგასმებისათვის გამოიყენეთ კურსივი და სანახევროდ მუქი შრიფტი. ხაზგასმების, თავკიდური ასოების გამოყენება დაუშვებელია. სქემების, გრაფიკებისა, ილუსტრაციებისათვის გამოიყენება მხოლოდ **Microsoft Office**-ს სტანდარტული პაკეტის პროგრამები. ნებისმიერ შემთხვევაში გრაფიკა **Microsoft Word**-ის დამატებაში შექმნილი თქვენი ფაილის შიგნით უნდა განთავსდეს.

მინდვრები (**Margins**) – ზედა 2 სმ, ქვედა – 2,5 სმ, მარცხნივ – 3 სმ, მარჯვნივ – 2 სმ. სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1 მმ.

“ქუდის” გაფორმება (ყოველი პუნქტი ახალი აბზაცით)

- მოხსენების სათაური – **14 მუქი**, განვრცობა ცენტრისკენ;
- ავტორის (ავტორთა) ინიციალი და გვარი (გვარები) – **12, მუქი, კურსივი**;
- ორგანიზაციის სახელწოდება, რომელსაც წარმოადგენს ავტორი – **10, კურსივით, განვრცობა მარჯვენა მხრისაკენ**;
- საკვანძო სიტყვები (არაუმეტეს 5 სიტყვისა ან სიტყვათშეთანხმებისა) – **10 შრიფტით, განვრცობა აბზაცის სიგანით**;
- კონფერენციის პროგრამის სასურველი განყოფილება – **12 შრიფტით, განვრცობა სიგანეზე, უაბზაცოდ**.
- აბზაცი – ავტომატური.

გამოგზავნილ მოხსენებათა ტექსტების საფუძველზე შეირჩეს ის მოხსენებები, რომლების კონფერენციაზე წარდგენა-განხილვასაც მეტი დრო დაეთმობა.

უცხოელ მონაწილეთა სარეგისტრაციო შესატანია **150\$ (აშშ დოლარი)**, საქართველოს მოქალაქეთათვის – **100 ლარი (GEL)**.

თანხების შეტანა ხორციელდება გადარიცხვით შემდეგი საბანკო რეკვიზიტების მიხედვით:

ბანკის კოდი (მფო) – **220101819**;

მიმღები – **ბორის იმნაძე**;

საანგარიშსწორებო ანგარი – **80636512500053/CEL**;

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი (მფო) – **220101819**

მიმღები – **ბორის იმნაძე**

ანგარიში – **80636512500053/GEL**

თიბისი ბანკი

გადასახადის დასახელება: **კონფერენციის “ვერბალური კომუნიკაციური ტექნოლოგიები – 2012”**

სარეგისტრაციო გადასახადი.

საწევრო შესატანის გადახდის ვადა: 2012 წლის 15 ივლისიდან 2012 წლის 30 აგვისტომდე.

ქვიტრის ორიგინალი (დედანი) წარედგინება ორგკომიტეტს კონფერენციაზე რეგისტრაციის დროს, ან (დაუსწრებლად მონაწილეობის შემთხვევაში) უნდა გამოიგზავნოს სკანირებული ფაილით მისამართზე:

boris151132 @ rambler.ru

კონტაქტები:

საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი: 0175, თბილისი, საქართველო. კოსტავას ქ. 77, YI კორპუსი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაქულტეტი, ქართული ფილოლოგიისა და მედია ტექნოლოგიების დეპარტამენტი, ოთახი 800, 801

სრული პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი +995577 – 43–22–52

სრული პროფ. ბორის იმნაძე (+995032)236-51-07;

e-mail: **boris151132 @ rambler.ru**

პატივისცემით, კონფერენციის ორგკომიტეტი